ლადო პაპავა: სააკაშვილი არის თანამედროვე ქართველი ნიკიტა ხრუშჩოვი, სააკაშვილის მთავრობა წმინდა რუსული ნეობოლშევიკური პროექტია!

გაზეთი "ასავალ-დასავალი" – 18-24 ივნისი, № 25, 2012.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტის შემდეგ ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილს უფრო მეტი აგრესიით შეუტია – "გლობალ-ტივის" მიერ მოსახლეობისათვის 10-წლიანი განვადებით დამონტაჟებული ანტენების გამო 150 მილიონით დააჯარიმეს. სააპელაციო სასამართლომ ჯარიმა გაანახევრა, თუმცა ადვოკატები აცხადებენ, რომ ივანიშვილი არაფრის გადახდას არ აპირებს. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები? ამის შესახებ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა გვესაუბრება.

– ბატონო ლადო, სააპელაციო სასამართლომ გაანახევრა ბიძინა ივანიშვილისთვის დაკისრებული 150 მილიონიანი ჯარიმა, თუმცა ბიძინა ივანიშვილი არც მის გადახდას აპირებს. როგორ შეაფასებთ სასამართლოს გადაწყვეტილებას და როგორ გესახებათ მოვლენების განვითარება?

– უპირველეს ყოვლისა, მაინტერესებს, რატომ არის ეს ამომრჩევლის მოსყიდვა? როცა „გლობალ-ტივი" გაძლევს ამ ანტენას, შეგიძლია, უყურო ნებისმიერ არხს. თუნდაც მხოლოდ „მე-9 არხს" და „მაესტროს" უყურებდე, გამაგებინეთ, აკრძალულია ეს არხები? ლიცენზია ხომ აქვთ მიღებული და ოფიციალურად მაუწყებლობენ. ეს ნიშანია იმისა, რომ ხელისუფლებას ეშინია და შიშის გამო იღებს აბსურდულ გადაწყვეტილებებს.

ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, მთავარი ისაა, რომ ამ ჯარიმის დასაბუთების დროს კონტროლის პალატამ უხეში ეკონომიკური შეცდომა დაუშვა. მოგეხსენებათ, „გლობალ ტივი"-მ დაარიგა ანტენები შესაბამისი ხელშეკრულებებით, რომელშიც წერია, რომ ეს არის 10 წლიანი განვადება. პირველ წელს მომხარებელი არაფერს იხდის, მეორე წლიდან კი, ყოველთვიურად 4 ლარი უნდა გადაიხადოს. ჯამში ეს არის 432 ლარი. კონტროლის პალატამ იანგარიშა, ეს ანტენა რომ არ ეყიდა ფირმას და ფული

შეეტანა ბანკში, რა თანხას მიიღებდა ის ათი წლის შემდეგ, მაგრამ გათვლის დროს დაუშვა თვალშისაცემი შეცდომა – ერთი მხრივ, აიღო თვიური გადასახდელი 4 ლარი და მეორე მხრივ, წლიური საპროცენტო განაკვეთი 13,7%. ეს აშკარა შეცდომაა, რადგანაც ერთმანეთს შეადარეს თვიური და წლიური სიდიდეები; ორივე სიდიდე ერთდროულად ან წლირ ან თვიურ განზომილებაში უნდა აეღოთ. ასეთი შეცდომა პირველი კურსის სტუდენტსაც არ ეპატიება. ამით იანგარიშეს, რომ ეს პროექტი წამგებიანია და ამომრჩევლის მოსყიდვას ისახავს მიზნად, სინამდვილეში კი პროექტი არ არის წამგებიანი. განგებ დაუშვა კონტროლის პალატამ ეს შეცდომა, თუ უნებურად, რა მნიშვნელობა აქვს? ფაქტი ერთია, შეცდომაზე დაყრდნობით სასამართლომაც ბრმად მიიღო გადაწყვეტილება.

ივანიშვილის გუნდი ამბობს, რომ ამ ფულს არ გადაიხდიან, მთავრობა ამბობს, რომ იმოქმედებს კანონის შესაბამისად, თუმცა, მთავრობისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, კანონში რა წერია. ეს ჯარიმა გამოიტანეს ეკონომიკურ აბსურდზე დაყრდნობით, რა დაუშლით, რომ ხვალ ადგნენ და ივანიშვილის ბანკი დააყადაღონ? ამ აგრესული მთავრობიდან, რომელიც ხელისუფლებაში დასარჩენად ნებისმიერი ფორმებით და მეთოდებით იბრძვის, ყველაფერია მოსალოდნელი.

ამიტომ ის, რომ ივანიშვილის გუნდი აპირებს ბრძოლის გაგრძელებას, სწორია, მაგრამ რა ფორმით? ივანიშვილს გუნდს უფრო ფრთხილი და მოქნილი მოქმედება სჭირდება. მართალია, ისინი მოქმედებენ კანონის შესაბამისად, მაგრამ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ საქმე აქვთ არა კანონმორჩილ, არამედ აგრესიულ ხელისუფლებასთან. ვეჭვობ, რომ ივანიშვილის გუნდის წევრებს ბოლომდე ჰქონდეთ გათვლილი ის საფრთხეები, რაც ამ არასამართლიან ბრძოლაში არის მოსალოდნელი.

– ეს ყველაფერი მოხდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტის შემდეგ, არადა, ხალხი ელოდა, რომ ამ ვიზიტის შემდეგ ხელისუფლება ტერორს შეარბილებდა მაინც...

– ხალხი ტყუილად ელოდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დადგება დემოკრატიის მხარეს თუ თავად ქართველ ერს თავად არ სურს დემოკრატია. არსად მსოფლიოში ამერიკას დემოკრატიის დასაცავად თავი არ შეუწუხებია, თუ თავად ხალხი არ დგას დემოკრატიის მხარეს. გავიხსენოთ, როგორი მხარდაჭერა ჰქონდა აშშ-სგან ეგვიპტის პრეზიდენტს მუბარაქს.

მაშინაც კი, როცა ხალხმა დაიწყო გამოსვლა მუბარაქის წინააღდეგ, თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი ღიად უჭერდა მას მხარს. ამერიკელები მხოლოდ მაშინ დადგნენ დემოკრატიის მხარეს, როცა ნახეს, რომ ხალხის საპროტესტო მუხტის შეჩერება მთავრობას აღარ შეეძლო. პუტინი პრეზიდენტობიდან გახდა პრემიერ-მინისტრი. ვინმემ შეწყვიტა მასთან ურთიერთობა? პრემიერობიდან ისევ გახდა პრეზიდენტი, ვინმემ ბოიკოტი გამოუცხადა? ასე რომ, თუ ჩვენ სააკაშვილს მივცემთ შესაძლებლობას, რომ გახდეს პრემიერი, ის გახდება პრემიერი, ამერიკა გამოთქვამს კრიტიკულ მოსაზრებებს, მაგრამ ყველაფერი დასრულდება ამით. თუ ხალხს მოუნდება დემოკრატია, ამერიკა დადგება ხალხის მხარეს, მაგრამ თუ ხალხი წაიკნავლებს დემოკრატია მინდაო, მაშინ ის გააკრიტიკებს სააკაშვილს, მაგრამ საბოლოოდ მხარს მას დაუჭერს.

– ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, ჰილარი კლინტონმა ღიად უთხრა სააკაშვილს, რომ უნდა წავიდეს. მეორეს მხრივ, ჩვენ მოვისმინეთ ქალბატონი კლინტონის სიტყვები იუსტიციის სახლის დათვალიერებისას, როცა ხალხს ასეთ რამეს უშენებ, როგორ შეიძლება მან ხმა არ მოგცესო.

– მე მაქვს შეხვედრები საკმაოდ სერიოზულ ამერიკელ ექსპერტებთან, რომელთაგან ვიცი აშშ-ს ხელმძღვანელობის პოზიცია, რომ სააკაშვილი მაღალ პოლიტიკურ თანადებობაზე აღარ უნდა დარჩეს. ეს არის ამერიკის ერთმნიშვნელოვანი პოზიცია.

რაც შეეხება მშენებლობებს, ამერიკელები ხედავენ, რომ შენდება და ამას მიესალმებიან, თუმცა, მათ არ იციან, როგორ შენდება. ენგურზე რომ ხიდი გადეს, ადიდებილმა ენგურმა წაიღო. თბილისის აეროპორტს ქარმა სახურავი ახადა და წვიმა ჩამოვიდა, ბათუმის ახალგახსნილ ოპერაში კონცერტზე წვიმის დროს ჭურჭელი ედგათ, რომ წყალს იატაკი არ გაეფუჭებინა. პარლამეტის მშენებარე შენობაში სხდომა ჩაატარეს და ერთი კვირის მერე ამ მშენებლობას ადამიანი ემსხვერპლა. სამწუხაროდ, ეს არ არის ერთადერთი მსხვერპლი. პირველი მსხვერპლი იყო თაბუკაშვილის ქუჩაზე, როცა სახლის ნგრევას მუშა ემსხვერპლა. ქუთაისში მემორიალის აფეთქებამ კი დედა-შვილი შეიწირა.

– ბატონო ლადო, როგორ ფიქრობთ, რით არის გამოწვეული სააკაშვილის აკვიატება, რომ ყველაფერი ჩქარა უნდა აშენდეს და მნიშვნელობა არა აქვს ხარისხს?

– მე იმ ასაკის ადამიანი ვარ, რომელაც საბჭოთა კავშირში იცხოვრა. შესანიშნავად მახსოვს, რომ მაშინ იყო ორი თარიღი – 7 ნოემბერი და 1 მაისი, პარანოიამდე იყო დასული ყველაფრის ჩაბარება ამ თარიღებისთვის. ზუსტად იგივე ხდება დღევანდელ საქართველოში. თვეებიც კი დაემთხვა – კომუნისტების დროს თუ 7 ნოემბერი იყო, ახლა გვაქვს 23 ნოემბერი, თუ მაშინ 1 მაისი იყო, ახლა გვაქვს 26 მაისი. მართალია, ეს სხვა დღეებია, მაგრამ ზუსტად ბოლშევიკური სტილის მმართველობაა. ზუსტად ის ხდება დღეს საქართველოში, რაც ხდებოდა ნიკიტა ხრუშჩოვის დროს. მმართვალობის სტილი – სუბიექტიური ვოლინტარიზმი – იგივეა!

ერთხელ ხრუშჩოვი უნდა ჩამოსულიყო თბილისში. ხიდზე, რომელიც არ იყო დასრულებული, ხრუშჩოვის მანქანას უნდა გაევლო, ამიტომ დააყენეს ხალხი, რომელთაც ერთი ხელით მოაჯირი ეჭირათ, მეორეთი ხელს უქნევდნენ ხრუშჩოვს. სააკაშვილი არის თანამედროვე ქართველი ნიკიტა ხრუშჩოვი. სააკაშვილის მთავრობა წმინდა რუსული ნეობოლშევიკური პროექტია. გაიხსენეთ, რა იყო ხრუშჩოვის იდეა? მისი იდეა იყო, რომ მთელს საბჭოთა კავშირს პურის ნაცვლად სიმინდი ეჭამა. ნახეთ, ამაშიც როგორი მსგავსებაა? სხვათაშორის, სიმინდის პროგრამა ხრუშჩოვსაც ჩაუვარდა. სტალინი დიქტატორი იყო, მაგრამ მას ჰქონდა გათვლები. ხრუშჩოვი დიქტატორის პაროდია იყო. ზუსტად ეს სიტუაციაა დღეს საქართველოში.

– რაკი მშენებლობი ვახსენეთ, ლაზიკაზეც ვისაუბროთ, რის შესახებაც კონსტიტუციაში შესწორებები შეიტანეს.

– ამით კიდევ ერთხელ "გააუპატიურეს" კონსტიტუცია. თანაც რა, პირველად "გააუპატიურეს"? ჩვენი კონსტიტუცია ნაციონალების ხელში "მეძავი დედაკაცივით" არის. თუნდაც ის შესწორებები, რაც ვითომდა ივანიშვილისთვის გააკეთეს, კონსტიტუციის პატივისცემაა? ან რა უნდა კონსტიტუციაში ლაზიკას, ქალაქს, რომელიც ჯერ არ აშენებულა და გინდაც აშენებული იყოს? ჯერ კიდევ იმ პარლამენტმა, რომლის წევრიც მე გახლდით, მიიღო კანონი სპეციალური ინდუსტრიული ზონების შესახებ. ამ კანონით შეიქმნა რამდენიმე ზონა, მათ შორის, ფოთსა და ქუთაისში. რაიმე ეშველა ამ ქალაქებს? საგადასახადო შეღავათების მიცემა ეკონომიკური განვითარებისთვის სულაც არ არის საკმარისი. თუ ამ შეღავათებმა უკვე არსებულ ინდუსტრიულ ქალაქ ქუთაისს ვერ უშველა, უკვე არსებულ საპორტო ქალაქ ფოთს ვერ უშველა, რა უნდა უშველოს იმ ადგილს, სადაც ჯერ მხოლოდ ბაყაყებითა და კოღოებით

სავსე ჭაობია? რაც მთავარია, ვისზეა ეს ყველაფერი გათვლილი? რომელი ნახევარი მილიონი ჩვენი თანამოქალაქე უნდა ჩასახლდეს იქ? იქნებ, სიტყვა „ჩვენ“ შეცდომით გამოვიყენე და ვიღაც გადამთიელების ჩამოსახლებაზეა საუბარი? არანაირი ფობია არ მჭირს, მაგრამ არ მინდა, სპეციალურად ვაკეთოთ ის პროექტები, რომ ვიღაც აქ ჩამოვასახლოთ. ამდენი გაჭირვებული ადამიანია, ამდენი გაჭირვებული ქალაქი და დასახლებაა, სადაც ცხოვრება ვერ აგვიწყვია და ჭაობში უნდა აშენდეს რაღაცა? რა თანხებით უნდა აშენდეს? ლაზიკაც წმინდა ხრუშჩოვისეული სტილის პროექტია.

– ბატონო ლადო, ყოველივე ამის შემდეგ როგორია თქვენი მოლოდინი ოქტომბრის არჩევნებისთვის?

– მიშა რომ არჩევნებს გააყალბებს, ამაში ორი აზრი არ არსებობს. არჩევნების გაყალბება და ქვეყნის პრემიერ-მინისტრობა ორი ურთიერთგადაჯაჭვული ცნებებია. დიახ, ნაციონალები გაყალბებაზე წავლენ, მაგრამ ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ხმა, თუმცა, ამ ეტაპზე მთავარი არის არა ხმის დაცვის მოწოდება, არამედ არჩევნებზე მისვლისა და ხმის მიცემისაკენ მოწოდება. ხალხი არ უნდა გაჩერდეს სახლში, უნდა მისცეს ხმა და შემდეგ ეს ხმა დაიცვას. თუ ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ, მაშინ ის გვექნება, რისი ღირსიც ვართ!

ესაუბრა **თეა ასათიანი**